საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№11 (6386) 26 იანვარი შაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაცვის ფონდი იზრდება

ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘᲡ ჟამი უდგას საქართველოს. უჭირთ სამაჩაბლოს ქართულ მოსახლეობას, საქართველოს ამ ძირძველი მიწის დასაცავად მდგომ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ნაწილებს. სწორედ ამან განაპირობა, რომ საქართველოს მოსახლეობის თხოვნით შეიქმნა ეროვნული თავდაცვის ფონდი, რომლის შესახებ ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში ახლახან გამოქვეყნდა ცნობა და უკვე საკმაო თანხა დაგროვდა სახელმწიფო ბანკის რაიონულ განყოფილებაში.

თითქმის არ დარჩენილა რაიონში წარმოება დაწესებულება, საიდანაც გარკვეული რაოდენობით თანხა არ გადარიცხულიყოს თავდაცვის ფონდის სპეციალურ ანგარიშზე. აქედან აღსანიშნავია რაიკავშირის, საზკვების, პურკომბინატის და ალპანის სავაჭრო დარგობრივი გაერთიანების წვლილი, რომლებმაც თავდაცვის ფონდში 4 ათასი მანეთი გადარიცხეს. აგროსამრეწველო ბანკის თანამშრომლებმა 250 მანეთი გადარიცხეს, ლაილაშის საბჭოს მუშა-მოსამსახურეებმა—395 მანეთი, ლუხვანოს სასოფლო საბჭოს—250 მანეთი.

სულ ამ მოკლე დროში რაიონის მშრომელთა მიერ 7800 მანეთია ჩარიცხული.

მსურველებს შევახსენებთ ცაგერის აგრომრეწვბანკში გახსნილი თავდაცვის ფონდის ანგარიშის ნომერს—70046

სიძნელეებს მონდომება უპირისპირდება

ᲐᲮᲚᲐ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას გარდამავალი პერიოდი უდგას, ათასგვარი სიძნელეები გვიღობავს გზას, ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური და მოთმინება, თვითდამშვიდება მინდობილი საქმის მაღალი პასუხისმგებლობით შესრულება, სიფხიზლე და საქველმოქმედო საქმიანობაა ყველაზე მთავარი, რაც გამარჯვების გზაზე გაგვიყვანს.

მიუხედავად ათასგვარი სიძნელეებისა ნედლეულით მომარაგებაში წყვეტილობა არ უგრძვნიათ ალპანის სამკერვალო საწარმოს მუშებს, საწარმოს ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ადგილი არ ექნეს მოცდენებს, საწარმოში მოსულ მუშებს ყოველთვის ექნეთ მაქსიმალური დატვირთვა და შრომის ანაზღაურებითაც არ დარჩნენ უკმაყოფილო.

ორი შვილის დედაა სვეტლანა გურგუჩიანი, საწარმოს მოწინავე მკერავი, კარგი დედა და მეუღლე, რომელიც ოჯახურ საქმეს მოხერხებულად უთავსებს საწარმოში მუშაობას. ორბელში დაბადებულმა ალპანაში შექმნა ოჯახი და შრომით საქმიანობაშიც აქვე ჩაება. საწარმო მისი მეორე ოჯახია. საქმეს გულით ეკიდება და გამოსდის კიდეც. სულ რამდენიმე თვეა, რაც აქ ქალის პალტოებს კერავენ. სვეტლანა გვირისტზე მუშაობს, გეგმას გადაჭარბებით ასრულებს და გამომუშავებაც კარგი აქვს, მისი ყოველთვიური ანაზღაურება 170-180 მანეთს აღემატება. მართალია, ჩვენი დალარიბებული ეკონომიკის, ცვალებადი და ცვლადი ღირებულების ბაზრის შემხედვარე ძლიერი ოჯახური მდგომარეობა რომ არა ამ ხელფასზე ცხოვრება გაუჭირდება ოჯახს, მაგრამ ალპანაში, სვეტლანას და მის მეუღლეს ავთო ჯანაძეს, ოჯახის მამას სეით ჯანაძეს ისეთი მეურნეობა აქვთ, იქეთ თუ გაყიდიან თუ არა, აქეთ საყიდელი არაფერი აქვთ.

ღმერთო მშვიდობიანი ცხოვრება დაამკვიდრე ჩვენს მრავალტანჯულ მიწაზე და გარჯას არავინ დაიზარებს.

ბ. ბაქრაძე.

ენერგეტიკული კრიზისის პირობებში

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ მწვავე დეფიციტმა განაპირობა რესპუბლიკაში საგანგებო ღონისძიებანი. ხუთი საათით შემოიფარგლა როგორც საქართველოს, ისე ცენტრალური ტელევიზიის გადაცემები—დღისით 13-დან 14 საათამდე, საღამოთი 20 საათიდან შუაღამემდე.

მნიშვნელოვნად შეამცირეს მუშაობა ისეთმა დიდმა, ენერგოტევადმა საწარმოებმა, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, საწარმოო გაერთიანებები „აზოტი", „ქიმბოჭკო", ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, თბილისის ელმავალსაშენებელი, ჩარხსაშენებელი, საავიაციო და სხვა გაერთიანებები. მთლიანად წყვეტს მუშაობას მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის ყველა საწარმო. თბილისში შემოღებულია ელექტროენერგიის მიწოდების სპეციალური გრაფიკი. ანალოგიური ვითარებაა აგრეთვე სხვა ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში. ყველაფერი კეთდება, რათა უენერგიოდ არ დატოვონ პურის ქარხნები, კვების მრეწველობის საწარმოები, სამედიცინო დაწესებულებები, უწინარეს ყოვლისა საავადმყოფოები, აგრეთვე საქვაბეები და წყალმომარაგების ობიექტები.

—როდემდე უნდა გაგრძელდეს ენერგოსისტემაში შექმნილი, ასეთი ნამდვილად კატასტროფული ვითარება?—ასეთი კითხვით მიმართა საქინფორმის კორესპონდენტმა დავით რამიშვილმა „საქმთავარენერგოს" გენერალური დირექტორის მოადგილეს თეიმურაზ ყიფიანს.

—ყოველ შემთხვევაში, მთელ იანვარსა და თებერვალში იქნება ასე, — გვიპასუხა ბატონმა თეიმურაზმა,—საქმე [illegible] რომ რესპუბლიკის [illegible] წველო საწარმომ და გაერთიანებამ როდი შეასრულა საქართველოს მინისტრთა საბჭოს მარშანდელი შესაბამისი დადგენილება, რომლის თანახმადაც მათ ევალებოდათ ორმოცდაათი პროცენტით შეემცირებინათ ელექტროენერგიის მოხმარება. ახლა გვიწევს ყველაფერი ვიღონოთ საიმისოდ, რომ მოსახლეობა არ დაზარალდეს ელექტროენერგიის ნაკლებობის გამო, თუმცა, შექმნილი ვითარების შედეგად უკმაყოფილოთა რიცხვი უკვე საკმაოდ დიდია. საქმე ის არის, რომ ახლა რესპუბლიკას მხოლოდ საკუთარი ჰიდრო და თბოსადგურების ელექტროენერგიით მხოლოდ 60 პროცენტის დონეზე უზრუნველვყოფთ. ვითარება გაართულა იმანაც, რომ ენგურის ჰიდროელექტროსადგური გაჩერების ზღვარზეა წყლის ნაკლებობის გამო. იგი მუშაობს მისი მხოლოდ პატარ-პატარა შენაკადებით. არ გვყოფნის გაზიც, რის შედეგადაც ელექტროენერგიას ვერ იძლევა თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ახალი, რიგით მეცხრე ენერგობლოკი, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებდით. გაზის ნაკლებობა მოსახლეობასაც აიძულებს მეტი ხარჯოს ელექტრობა. სრული მოცულობით ვერ ვიღებთ საცეცხლე მაზუთსაც.

მდგომარეობა კვლავ სერიოზულია. ჩვენ, რესპუბლიკის ენერგოსამსახურის მუშაკებს, იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მოსახლეობა დიდი გაგებით მოეკიდება შექმნილ მძიმე სიტუაციას და ყოველნაირად დაზოგავს ელექტროენერგიას.

საქინფორმი.

შიდა ქართლი

მდგომარეობა ცხინვალში

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ვიუწყებოდით, ოსმა ექსტრემისტებმა, რომლებმაც დაარღვიეს წინა დღეს დათქმული პირობა სროლის შეწყვეტისა და ცხინვალის ქუჩებში ბარიკადების აღების შესახებ, 22 იანვარს 15 საათიდან და 30 წუთიდან ქალაქის ყველა კუთხიდან ცეცხლი დაუშინეს საქართველოს მილიციის მუშაკებს. 16 საათზე ექსტრემისტების ტყვიით დაიჭრა თბილისის კრწანისის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკი, მილიციის სერჟანტი იური ფეიქრიშვილი.

19 საათისთვის ექსტრემისტებმა ქალაქის სხვადასხვა უბნიდან დაიწყეს ნაღმსატყორცნებისა და ყუმბარსატყორცნების სროლა. ნაღმი აფეთქდა ცხინვალის შესასვლელში განლაგებული სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოს შენობის გვერდით, ძლიერი აფეთქება მოხდა პუშკინის ქუჩაზე. დაახლოებით 21 საათზე გასროლილმა ჭურვმა შეანგრია უნივერმაღის კედელი.

ღამის საათებში რკინიგზის ვაგზლის მხრიდან ისროდნენ რაკეტებს, ხოლო პედაგოგიურ ინსტიტუტთან მოწყობილი პიკეტიდან მთელი ღამის განმავლობაში ისროდნენ ყუმბარსატყორცნს.

ექსტრემისტების შემოტევაზე მილიციის მხრიდან გახსნილი ცეცხლის შედეგად დაიღუპა სამი ექსტრემისტი, დაიჭრა რამდენიმე.

საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მსხვერპლი არ არის.

22 იანვარს საღამოს მილიციის მუშაკებმა ცხინვალის რაიონში დააკავეს უმუშევარი იური ბეკოევი, რომელსაც აღმოაჩნდა რამდენიმე ცალი ტყვიამფრქვევის ვაზნა.

ოჯახი

ᲧᲕᲔᲚᲐ სპეტაკი, პატიოსანი ქართული ოჯახი ერს სიძლიერისა და ღონიერების ბურჯად უდგას. მით უფრო თუ იგი მრავალრიცხოვანია, ყველა მისი წევრი გამრჯე და შრომისმოყვარე. ასეთი ოჯახი აქვთ სოფელ ზოგიშში ქეთო და რაფიელ ტვილდიანებს, რომლებმაც 6 შვილი—5 ქალი და ერთი ვაჟი აღუზარდეს სამშობლოს.

ზოგიში რიონის ხეობის ერთი მაღალმთიანი სოფელია ჩვენს რაიონში. მთის მაღალ კორტოხზე შეფენილ სოფელს შნოსა და ლაზათს ადამიანთა სიმრავლე მატებს, რაც უკანასკნელ წლებში უფრო და უფრო იგრძნობა.

ტვილდიანების ოჯახის დედაბოძს, ქალბატონ ქეთოს სითბო და ზრუნვა არ დაუკლია შვილებისთვის, ბედმაც გაუმართლა და ყველა კარგად ყავს. 6 ოჯახი ერთად შეიყრება დიდი ზეიმი აქვთ.

დედ-მამას ყოველთვის საქმეზე მიუწევდათ გული და შვილებიც გამრჯე და პატიოსნები გაიზარდნენ.

დიდი სითბო

შვილს ყველას თავისი ოჯახი აქვთ. შვილების გაზრდა დაამთავრა და ახლა შვილიშვილებზე მზრუნველი ბებიაა. 5 ქალიშვილს ყველას თავისი ოჯახი აქვს, ერთადერთი ვაჟიშვილიც დაოჯახებულია და მხარში უდგას დედ-მამას, როცა მთელი ერთმანეთის მზრუნველობა, ქალთმოყვარეობა და სიკეთე ამოძრავებთ. მათზე აუგს ვერავინ იტყვის. ეს ამხნევებს სოფელში დარჩენილ დედ-მამას ჯერაც ჯანგაუტეხლად რომ ეკიდებიან ოჯახურ თუ საერთო საქმეს. შრომობენ და თავიანთი შრომით ირჩენენ თავს. წელიწადი ისე არ გავა, რომ მრავალშვილიანმა დედამ თავისი წვლილი არ გაიღოს აბრეშუმის პარკის მიღების საქმეში. ბევრი შვილი, ბევრი მტერ-მოყვარეაო—იტყვიან, მტერი ღმერთმა გვაშოროს და სამოყვროდ მოსული კი ბევრი ჰყავთ ქეთო და რაფიელ ტვილდიანებს.

დიახ, ტვილდიანების ოჯახში, შვილების და შვილიშვილების სიმრავლეა, ბევრი სტუმარია ამ დიდ ოჯახში და სითბოც მეტია, სიკეთეც მეტია და სიხარულიც. სწორედ ასეთი ოჯახია სოფლის ძალა და ღონე, ერის ძლიერების ბურჯი.

ჯ. მანდარია.

რაიონული საბჭოს აღმასკომში

დამტკიცდა ადგილობრივი ბიუჯეტი

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა განიხილა საკითხი „ცაგერის რაიონის 1991 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებისა და 1989 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.

აღმასკომზე აღინიშნა, რომ რაიონის 1989 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში დაზუსტებული გეგმის მიმართ საერთო მაჩვენებელში შესრულებული იყო 100,9 პროცენტით, ნაცვლად დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 5162,8 ათასი მანეთისა მიღებულია შემოსავალი 5209 ათასი მანეთი, გარდა ამისა შენარჩუნებული იყო ხარჯების დასაფარავად მიმართული საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 220 ათასი მანეთი.

რაიონის 1989 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების გეგმები 100 და მეტი პროცენტით იყო შესრულებული 9 დასახელებაში. გეგმის ზევით მიღებული შემოსავლები: სახადაღვევის ორგანოებიდან 0,8 ათასი მანეთი, საშემოსავლო გადასახადი კოოპერატივებიდან და კოოპერაციიდან 44,8 ათასი მანეთი, გადასახადი კინოფილმების დემონსტრირებიდან 0,7 ათასი მანეთი, შენობის მფლობელთა და მიწის გადასახადი 5 ათასი მანეთი, შრომითი რესურსების გადასახადიდან 19,5 ათასი მანეთი, ხარჯების დასაფარავად მიმართული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან 47,7 ათასი მანეთი, სასოფლო სამეურნეო გადასახადიდან 4,8 ათასი მანეთი, სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციის რეალიზაციიდან 7 ათასი მანეთი.

ამასთან აღინიშნა, რომ გეგმა არ შესრულდა შემოსავლების დასახელების 10 სახეში. გეგმის შესრულებას დააკლდა არქიტექტურიდან 0,1 ათასი მანეთი, ჯანმრთელობის სამეურნეო ორგანიზაციიდან 1,3 ათასი მანეთი, საბინაო კომუნალური მეურნეობიდან 7,3 ათასი მანეთი, სახელმწიფო ბაჟიდან 2,8 ათასი მანეთი, სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავლებიდან 4,5 ათასი მანეთი, ბრუნვის გადასახადის დამატებითი შემოსავლებიდან 39,4 ათასი მანეთი, საშემოსავლო გადასახადის დანარჩენი გადამხდელებიდან 10 ათასი მანეთი, მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან 12,5 ათასი მანეთი, მცირეხელფასიან მოქალაქეთა გადასახადიდან 16,1 ათასი მანეთი.

რაიონის 1989 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაზუსტებული გეგმა გასავლის ნაწილში საერთო მაჩვენებლებში შესრულებული იყო 95 პროცენტით. დაზუსტებული გეგმა იყო 5162,8 ათასი მანეთი, ფაქტიური ხარჯი 4910 ათასი მანეთი, საიდანაც სახალხო მეურნეობის ღონისძიებებზე დაიხარჯა 454 ათასი მანეთი, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 4101 ათასი მანეთი, მმართველობითი ორგანოების შენახვაზე 250 ათასი მანეთი, ხოლო სხვა ხარჯებში 62 ათასი მანეთი.

რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით დამტკიცდა ცაგერის რაიონის 1991 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში 5576,7 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 5873,9 ათასი მანეთის ოდენობით.

განისაზღვრა ცაგერის რაიონის 1991 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა 297,2 ათასი მანეთის ოდენობით.

დამტკიცდა ცაგერის რაიონის 1991 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საკუთრივ რაიონის საშემოსავლო ნაწილში 2956,2 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 2956,2 ათასი მანეთის მოცულობით, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1992 წლის პირველი იანვრისათვის 75 ათასი მანეთი.

დამტკიცდა ცაგერის რაიონის დაქვემდებარებული სოფლის ბიუჯეტის მოცულობა 1991 წლისათვის 2917 ათასი მანეთის რაოდენობით. მათ შორის: აღვის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 85,4 ათასი მანეთით, ნაკურალეშის—55,3, უსახელოს—74,2, წიფერჩის—262,1 ლუხვანოს—104,4, ოყურეშის—137,7, ზუბის—174,1, ტვიშის—208,9, ღვირიშის—208,9, ლასურიაშის—237,9, ლაილაშის—186,3, ალპანის—346,5, ორბელის—509,4, ქვედა ცაგერის—326,7 ათასი მანეთით.

შეიქმნა ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონდი 409,2 ათასი მანეთის ოდენობით.

დაწესდა რაიონის 1991 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის განკუთვნილი ხარჯები 402,2 ათასი მანეთის ოდენობით, ასიგნებანი სოციალური და კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისათვის საკუთრივ რაიონში 2268,7 ათასი მანეთის ოდენობით, ასიგნებანი მმართველობითი ორგანოების შენახვაზე ცალკეული ბიუჯეტის მიხედვით 449,5 ათასი მანეთის ოდენობით, ასიგნებანი საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის მაგარი ინვენტარის შეძენაზე 40 ათასი მანეთის ოდენობით.

დამტკიცდა ხელფასის ფონდი ცაგერის რაიონის 1991 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით საკუთრივ რაიონის ორგანიზაციების მიხედვით 1273,6 ათასი მანეთი, მთლიანი ხელფასის ფონდი ცალკეული ბიუჯეტების მიხედვით 3383,6 ათასი მანეთი.

დაწესდა 1992 წლის 1 იანვრისათვის საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 220 ათასი მანეთის ოდენობით.

საქართველოს წყლის ბალანსის რუკა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში შეადგინეს საქართველოს წყლის ბალანსის სტრუქტურების რუკა. მკვლევარმა ნ. კეზევაძემ შესძლო გადაეწყვიტა რთული პრობლემა—გრაფიკის გამოყენებით რუკაზე აესახა მთის რეგიონში წყლის მიმობრუნვის ყველა რგოლის ურთიერთკავშირი—ატმოსფერული, სამდინარო, ნიადაგური და მიწისქვეშა. ფერთა სხვაობის დახმარებით მკაფიოდ ხდება დაკვირვება ამ პროცესების ტერიტორიულ თავისებურებებზედაც.

როგორც ვვარაუდობდით, ბუნების კანონის თანახმად, მდინარის ჩამონადენის ფორმირების ყველაზე უფრო „კონტრასტული“ პირობა შეიქმნა კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობებზე, განსაკუთრებით ენგურის სათავეებში. მდინარის ნაკადი აქ ყალიბდება ძირითადად კლდიანი ფერდობებისა და მთა-მდელოს ნიადაგის ჩამონადენის ანგარიშზე და ხელს არ უწყობს ნიადაგური ტენის ღრმად შეღწევას, მიწისქვეშა წყლის ჩასადინარის შექმნას. ამიტომ, ასეთ პირობებში, ნიადაგის გატენიანებისათვის იხარჯება ნალექების არაუმეტეს 27 პროცენტი. მათი უმეტესი ნაწილი მინდვრად მიედინება. წყლის ბალანსის უფრო ხელსაყრელი სტრუქტურა დამახასიათებელია აფხაზეთის, სვანეთის, აჭარის, იმერეთის, კავკასიონის მთავარი ქედის აღმოსავლეთ ნაწილის მაღალმთიანი ზონებისათვის. ამ რეგიონებში ნათლად არის გამოსახული მთა-მდელოიანი ნიადაგის სტრუქტურა. აქ ბუნების მიერ გაცილებით უკეთესი პირობებია შექმნილი მიწისქვეშა ჩადინების—ტენის თავისებური აკუმულატორის შესაქმნელად.

რესპუბლიკის წყლის ბალანსის სტრუქტურაზე ზონალურ ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე ადგილობრივი გეოლოგიური, რთული ბუნებრივ-კლიმატური პირობებიც. ეს განსაკუთრებით ნათლად იჩენს თავს მესხეთ-ჯავახეთში, დასავლეთ საქართველოს კარსტულ ოლქებში. აქ აქტიური მიწისქვეშა წყალცვლის შედეგია კარსტული გამოქვაბული—მდინარე, მდინარე-გამოქვაბული, თვით ორ მეზობელ წყლის აუზში აღინიშნება დიდი განსხვავება „ადგილობრივი“ წყლის ბალანსის სტრუქტურაში.

საქინფორმი.

ხალხის გულისთქმა

ჩვენ ვცხოვრობთ ნგრევად კავშირში

რუსი ვარ, ციმბირიდან, რუსეთშივე დავამთავრე საგზაო-სამშენებლო ინსტიტუტი. 5 წელია დავქორწინდი და ვცხოვრობ საქართველოში. ჯერჯერობით 2 შვილს ვზრდი კარგ ქართველებად. ვმუშაობ №23 საგზაო სამმართველოში ჩემი სპეციალობით—ინჟინრად.

ამ წერილის დაწერა სსრ კავშირსა და საქართველოში შექმნილმა ვითარებამ მიკარნახა. ახლა ძალზე ძაძაბული დროა: კონფლიქტები, უთანხმოება, თითქოსდა საქართველოში დისკრიმინაციას უწევდნენ სხვა ერებს, მსგავსი რამ არასოდეს განმიცდია და ეს არც შეიძლება მოხდეს—საქართველოში 100-მდე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ ქართველების გვერდით. ერთი ლხინითა და ჭირით. ჩემი პირადი მაგალითიც კმარა ამის დასტურად. სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, ჭალისთაველთა რძალი რომ გავხვდი. ქართული ერთი სიტყვაც არ ვიცოდი, წარბი არ შეუხრია ოჯახის არც ერთ წევრს, ღვიძლი შვილივით მიმიღეს. ახლა ქართულსაც კარგად ვფლობ და ტრადიციებსაც. ეს ყველაფერი ქართულმა სითბომ და გარემომ შემაძლებინა.

ამით იმის თქმა მინდა, რომ საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეროვნების წარმომადგენელმა, ვინც ქართულ მიწაზე აპირებს სიკვდილ-სიცოცხლეს, უნდა გაითავისოს საქართველოს ბედი, უნდა იბრძოლოს მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის.

ახლა ახლო აღმოსავლეთში ომი მიმდინარეობს და ხალხები სიძულვილით მოიხსენიებენ სადამ ჰუსეინს. რა ხდება საბჭოთა კავშირში? ქვეყნის ყველა კუთხეში სამოქალაქო ომია და ეს ყოველივე პრეზიდენტმა მოგვიტანა. პროგრამა „ვრემიაში“ ხშირად გვესმის, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების უმრავლესობა გამოხატავს საპრეზიდენტო მმართველობის სურვილს. რა სურვილზეა ლაპარაკი? ირგვლივ სისხლია: ბაქოში, თბილისში, ახლა ვილნიუსში. რიგაში—როდემდე?

ჩვენ ვცხოვრობთ ვეებერთელა, მაგრამ ნგრევად, ფანტვად კავშირში. რისთვის გვჭირდება ეს უზარმაზარი იმპერია? დაე, გვქონდეს პატარა სამშობლო, რომლითაც ჩვენ შევძლებთ ვიამაყოთ.

მე გამოვხატავ პროტესტს პრეზიდენტ გორბაჩოვის ყველა ბრძანებისადმი, რომელიც დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზას ახშობს; გამოვხატავ მხარდაჭერას ხალხისადმი, რომელიც ისწრაფვის სუვერენიტეტისკენ, გაუმარჯოს პოლიტიკურად, ეკონომიკურად თავისუფალ ყველა რესპუბლიკას.

ტატიანა ვიუგოვა—კოპაღიანი.
სოფ. ჭალისთავი.

მასწავლებელი

ჩემი იდეალი

„არა, ხვალაც ვერ დავიწყებთ ახალ ცხოვრებას“—ღრმად ვირწმუნე თამაზ ბაძაღუასეული დანანება თუ გულისტკივილი ცხოვრებას ერთფეროვნების გამო.

რაღაცას ვიხსენებ მთელი სიცოცხლე და ვერაფრით გამიხსენებია. როცა ეს-ესაა გონებაში ნაცნობი დეტალი ცოცხლდება, სწორედ მაშინ მიწყდება აზროვნების ძაფი. უმწეოდ ვეხლები საკუთარი სულის კედლებს, ვდგავარ ნაპირზე. მარტოსული და უსახოდ ქმნილი, ვერავინ მიპოვნია ისეთი, ვინც ვაითავისებს მოურჩენელ ტკივილს, ჩემი სულიდან ასე უშურველად გადმოღვრილს და ჩემი დღეების ძირითად მასაზრდოებელ წყაროს.

ასე იყო მაშინ, მის წინ, დაბადებიდან...

მერე ახალ სკოლაში აწკრიალდა ოქტომბრის ზარი...

მერხებს შორის ღიმილით დაბიჯებს ციური ფერია, დაბიჯებს და უშურველად არიგებს ღიმილს...

რა ლამაზი სახელია მანანა...

ლამაზი და მომხიბვლელი...

ასეთივე ლამაზი და მომხიბვლელია მანანა (მაგული) მამარდაშვილი—მასწავლებელი, მეგობარი ქალი. უცნაური ანდამატია მანანა მასწავლებლის სულში, სითბოთი და ღიმილით გაჯერებული.

უზომოდ მეოცნებეა მისი უძირო, თაფლისფერი თვალები. საოცრად მეტყველი თვალები აქვს მაგული მასწავლებელს,

წმინდა სავანეა ჩემთვის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი. აქ, მაგიდასთან მანანა მასწავლებელი ზის და მოთმინებით ელოდება, როდის აივსება ოთახი. ლოდინიც სხვანაირი იცის, ფიქრიანი და ლამაზი. ყოველმხრივ მისაბაძი პიროვნება—აი, ვინაა ის. რაგინდ აღელვებული უნდა ვიყო, მოვძებნი მანანა მასწავლებელს და მაშინვე განვიმუხტები თითქოს.

საუბარიც განსხვავებული იცის. ასეთი საუბარი მხოლოდ მას შეუძლია, ასეთი ღიმილიც მხოლოდ მას ჩვევია. საერთოდაც, მაგული მასწავლებლის პიროვნებაში ყველაფერი თავისთავადია და მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი.

„აი, როგორი ქალი სჭირდება დღეს საქართველოს“—რამდენჯერ მიფიქრია მის შემყურეს. „ნაგული მასწავლებელი ნაღდი ქართველიაო“,—ეხლაც ჩამესმის ყურში ნეგობარი ვაჟის ნათქვამი.

მთელი სიცოცხლე დავეძებდი ადამიანს, ვინც გაითავისებდა ჩემს ყოველნაირ განცდას, გამოჩნდა მაგული მასწავლებელი და ხელი გამომიწოდა. „განვედი ჩემგან, ჰოი, მაცდურო, სულო ბოროტო!“—მივმართე ვიღაცას თუ რაღაცას, ბედისწერასავით ადევნებულს და მაგული მასწავლებელს მივენდე.

ზარი ირეკება, ნანატრი ზარი. ჩანთას ვიღებ და ღამის სირბილით მივეშურებ კაბინეტისაკენ.

იქ მაგული მასწავლებელი მეგულება, ჩემი იდეალი, საკვანძო სიტყვა და შთაგონების წყარო.

ნანა აკობიძე.
ზუბის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 იანვარს (ძველი სტილით 14 იანვარს) ნინოობაა — დღესასწაული წმინდა დედისა ჩვენისა ქალწულისა ნინოსი მოციქულის სწორის

ნინო — ქართველთა განმანათლებელი

მას არ ჰქონია საუნჯე
დაუდებელი ფასისა.
სიმდიდრეთ ხელში ეჭირა
უბრალო ჯვარი ვაზისა.

...მისის ცრემლებით ნაბანი,
შეკრული მისივე თმით;
სურვილით გამაგრებული
განმტკიცებული გულისთქმით.

აკაკი.

ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ბევრი წმინდანი ჰყავს, რომელთა სახელებთან დაკავშირებულია უდიდესი სულიერი გმირობა, მაგრამ უპირველესი მათ შორის არის ტომით სრულიადაც არა ქართველი—წმინდა ნინო—ქართველთა განმანათლებელი.

> **სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო ევედრე ქრისტესა ღმერთსა, შეწყალებად სულთა ჩვენთათვის. ამინ.**

ნინოობას ქართველი ხალხი დიდი ზეიმით აღნიშნავდა ყოველ 14 იანვარს.

ნინო იყო რომის მხედართმთავრის, კაბადოკიელი ზაბულონის ასული. რომის იმპერატორმა მაქსიმინემ ზაბულონს ბურგუნდებზე გამარჯვების აღსანიშნავად ბურგუნდიის მთავრობა უბოძა, რითაც თავისდაუნებურად ხელი შეუწყო მას ბურგუნდიელი ხალხის ქრისტიანულად მოქცევაში—ზაბულონი ხომ ღრმად მორწმუნე ქრისტიანი იყო.

მამამ თავისი ასული ღმერთს მიუძღვნა მსახურად. ნინო იქცა ნონნად—ქრისტეს სასძლო მონაზონად. მას უნდა ემსახურა გლახაკთათვის და ქრისტეს რჯულზე მოექცია ურწმუნონი. იერუსალიმის პატრიარქი, რომელთანაც ნინო იზრდებოდა, მისი ბიძა იყო, მანვე მიაბარა იგი ეთესელ მღვდელმთავარ ნიაფორას, ტომით სომეხს, რომლისგანაც ნინომ საქართველოსა და სომხეთის ისტორია, სომხური ენა ისწავლა, მისგანვე შეიტყო ქრისტეს კვართის ისტორია, რომელიც საქართველოშია დაფლული. ამან ქალწულს საქართველოსადმი დიდი ინტერესი აღუძრა.

ნინომ შემთხვევით გაიგო, რომ რომის დედოფალი ელენე გულგრილი არ იყო ქრისტიანობის მიმართ და განიზრახა მისი მოქცევა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. ამ მიზნით იგი ჩავიდა რომში და ერთ-ერთ დედათა მონასტერში დაბინავდა. სწორედ აქ გაიცნო სომეხი რიფსიმე და უქადაგა მას ქრისტეს რჯული. იმპერატორ მაქსიმინეს, რომელსაც გაეგო რიფსიმეს მშვენიერების შესახებ, სურდა ცოლად შეერთო იგი, მაგრამ რიფსიმემ არ მოისურვა წარმართის ცოლობა. რომიდან სომხეთს გაქცეულ რიფსიმეს თან გაჰყვნენ ნინო და კიდევ ოცდათორმეტი ქალწული. ლტოლვილნი ჩამოვიდნენ დვინს, სადაც ისინი შეიპყრო სომეხთა მეფე თრდატმა, რომელსაც მიეღო კეისრის წერილი. რიფსიმემ ცოლობაზე უარი უთხრა მისი მშვენიერებით ალტაცებულ თრდატსაც. ამის გამო ის და მისი თანამგზავრებიც აწამეს. მხოლოდ ნინო გადაურჩა ამ ტყვეობას. იგი გაიქცა ჩრდილოეთით და მიაღწია ჯავახეთს. აქ, ფარავნის ტბასთან მან ნახა ქართველი მწყემსები და მეთევზეები. ერთ-ერთ მათგანს სცოდნოდა სომხური და ასწავლა ნინოს გზა მცხეთისაკენ. ნინო დაადგა ნაჩვენებ გზას და მისდა გასაოცრად მრავალი თანამგზავრი აღმოაჩნდა—ქართველობა არმაზის დღესასწაულზე მიეჩქარებოდა. ასე მოხვდა ნინო საოცნებო საქართველოში, ქრისტეს კვართის ქვეყანაში. მან საკუთარი თვალით იხილა არმაზის დიდი დღესასწაული და, როგორც ლეგენდა გვიამბობს, ღვთის შეწევნით დაამხო ქართველთა ეს მრისხანე კერპი.

> **ერთ ღამეს, როცა მგზავრობისაგან დაქანცულს ჩაეძინა, სიზმარში გამოეცხადა ღვთისმშობელი, გაამხნევა და ჯვარი მისცა, როცა გამოეღვიძა, მართლაც ნახა, რომ ხელში ვაზის რქისგან გაკეთებული ჯვარი ეჭირა.**

ნინო დაბინავდა მცხეთის გარეუბანში, გადმოცემით იგი მალულად ლოცულობდა ვარდის ბუჩქში და ევედრებოდა ღმერთს დახმარებოდა წარმართთა მოქცევაში. ქალწულმა ვაზის ნასხლავებისაგან საკუთარი თმით შეკრა ჯვარი და ამ ბუჩქში დაასვენა. ასე იქცა ვარდის ბუჩქი სამლოცველოდ. მერე აქ აიგო წმინდა და დიდებული ტაძარი—ჯვარი.

3 წლის განმავლობაში ნინო ცხოვრობდა მცხეთის გარეუბანში, ხელის შეხებით და ლოცვით არჩენდა ავადმყოფებს, მძიმე სენით შეპყრობილებს. მისი სახელი უკვე ბევრმა იცოდა, როგორც სასწაულმოქმედისა.

მეოთხე წელს მძიმე ავად გახდა დედოფალი ნანა. მან ჩუმად გაგზავნა ჯარისკაცები ნინოს მოსაყვანად. ქალწულმა უარი თქვა სასახლეში მისვლაზე და მოითხოვა მასთან მიეყვანათ დედოფალი. რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, დედოფალი დათანხმდა ხლებოდა მკურნალს. გადმოცემით ნინომ დააწვინა დედოფალი თავის მდაბიურ საწოლზე—და ილოცა მისი განკურნებისათვის და თითქოს ავადმყოფობა არც ყოფილა. გახარებულმა დედოფალმა დიდძალი ოქრო-ვერცხლი აძლია ნინოს, მაგრამ წმინდანმა უარი თქვა ყველაფერზე. ერთი კი თხოვა თავის ბაღში აეშენებინა ქრისტეს სახელობის ეკლესია. თუმც მეფე მირიანი ფრიად გაკვირდა და მადლიერი დარჩა ნინოსი, არმაზის შიშით მაინც ვერ გაბედა დედოფლის თხოვნის ასრულება. და აი, ერთხელ, ნადირობისას [illegible] მეფე მირიანს ბნელი გადაეკრა თვალზე. შეშინებულმა მეფემ შესთხოვა ზენაარს: ღმერთო წმინდანინოსაო, თუ ამ სიბრმავიდან განმკურნებ, შენი მმოსავი გავხდებიო. მირიანს მაშინვე აეხილა თვალი. გახარებული მეფე სასახლეში დაბრუნებისთანავე შეუდგა სამეფო ბაღში ხის საყდრის შენებას. მოჭრეს ის დიდებული ნაძვი, არმაზის ხედ რომ მიაჩნდა ხალხს, გათალეს მისგან შვიდი სვეტი, რომელთაგან ერთ-ერთი ვერაგზით ვერ წამოაყენეს. ისევ ლოცვად დადგა ნინო. განთიადისას ჩაეძინა და ეზმანა, რომ ეს სვეტი ნათლით მოსილმა ანგელოზმა აიტაცა და შუაგულ ეკლესიაში დააყენა. გამოღვიძებულმა ნინომ იხილა სვეტი თავისთავად ფეხზე დამდგარი. სწორედ აქ ააშენეს ეკლესია, სვეტიცხოვლად წოდებული. მეფე-დედოფალმა და ხალხმა უკვე ცხადად სცეს თაყვანი ჭეშმარიტ ღმერთს. ნინოს რჩევით მეფემ კეისარ კონსტანტინესთან გაგზავნა ელჩები, მოაყვანინა ანტიოქიის პატრიარქი ესტატე, რომელმაც მტკვარში მონათლა ქართველი ერი, აკურთხა არქიეპისკოპოსად იოანე და მოაწყო ეკლესია.

წმინდა ნინო შემდგომ ამისა წავიდა საქართველოს მთიანეთში, ხევში, ერწოთიანეთში, ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში და ყველგან იქადაგა ქრისტიანობა. ბოლოს გადმოვიდა კახეთში, სადაც დასნეულდა და მიიცვალა კიდეც 338 წლის 14 იანვარს. დაკრძალეს იგი იქვე, ბოდბეში. მას აქეთ 14 იანვარი ითვლება ვაზის ჯვრის დღესასწაულად.

ახალგაზრდობა მოითხოვს, საჭიროა პირობების შექმნა

რედაქციაში ალპანელი ახალგაზრდობის სახელით შემოვიდა წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ალპანის სასოფლო კლუბში 9 წელია კინო არ ჩატარებულა. სასოფლო კულტურის სახლსა და სოფლის კლუბში ღონისძიებები არ ტარდება. მოითხოვენ შემოწმება შეიძლება თუ არა კინოს ჩატარება ალპანის სასოფლო კლუბში.

წერილში მოყვანილი ფაქტების შესასწავლად კულტურის განყოფილების გამგე გ. ბრეგვაძესთან ერთად ვეწვიეთ ალპანის სასოფლო კლუბსა და კულტურის სახლს, სინამდვილეს შეეფერება ის ფაქტი, რომ სოფელ ალპანაში, სადაც ფუნქციონირებს სასოფლო კლუბი, 9 წელია კინო არ ჩატარებულა. ამის ძირითად მიზეზს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უარგისობა წარმოადგენს. ისიც გაირკვა, რომ 9 წლის წინ კინომოძრავით, უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევით ტარდებოდა კინოსეანსები, რისთვისაც კინოფიკაციის დირექცია დაჯარიმებული იქნა და ასეთ პირობებში აეკრძალათ კინოს ჩატარება. კოლმეურნეობამ დაიწყო კინოჯიხურის აშენება, შემდეგ კლუბის შენობა ჩამოინგრა, რომელიც შეარემონტა კოლმეურნეობამ, მაგრამ დღეის მდგომარეობით კლუბის ამ შენობაში კინოსა და სხვა რაიმე ღონისძიებების ჩატარება შეუძლებელია, ფანჯრებს არ აქვს არცერთი ცალი მინა, დარბაზი და სცენა გაყინულია, არ არის საკმარისი რაოდენობის დასაჯდომი ადგილები, კინოჯიხური მოუთავებელია.

სოფლის ახალგაზრდობა, მშრომელები, რომლებთანაც გვქონდა საუბარი ყველა უკმაყოფილოა იმით, რომ არ ტარდება კინოსეანსები და სხვა რაიმე ღონისძიებები. გვითხრეს ვინმემ უხელმძღვანელოს კინოჯიხურისა და კლუბის კეთილმოწყობის სამუშაოებს და სიამოვნებით საზღაურის გარეშე მიიღებენ მონაწილეობას ამ საქმეში. საკითხავია სად არის ალპანის სასოფლო საბჭო და მისი აქტივი, რატომ არ ფიქრობენ მშრომელთა კულტურულ თუ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

კინოფიკაციის დირექტორმა ბორის ხეცურიანმა საუბარში გვითხრა, რომ სამართლიანია ალპანელი ახალგაზრდების მოთხოვნა იმის შესახებ, რომ არ ტარდება ალპანის სასოფლო კლუბში კინოსეანსები. ეს მოთხოვნა მათ მიერ ჩვენთან რამდენჯერმე იქნა დაყენებული და ჩვენც დაინტერესებული ვართ დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნა, მაგრამ იმ პირობებში რაც დღეს ალპანის სასოფლო კლუბში არის მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას არ იძლევა, ამის შესახებ მრავალჯერ განვუმარტეთ ალპანის კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს, მშრომელებს და თუ შექმნიან ტექნიკურ პირობებს ჩვენ მზად ვართ იქ მოვაწყოთ კინო დანადგარი და მოსახლეობას ვუჩვენოთ კინო ფილმები.

ვლ. დავითულიანი.

მსოფლიოს აგრარული კალეიდოსკოპი

პოლონეთი: მეორე პური

პირველი პოლონელი, რომელმაც XVII საუკუნის დამლევს კარტოფილი იგემა, იყო მეფე იან III სობესკი. გადმოცემა იუწყება, რომ მისი უდიდებულესობის მზარეულმა ტუბერის ნაცვლად მოხარშა ზღვის გაღმური მცენარის სიმპათიური მწვანე „ვაშლები“ და მიართვა სტუმრებს, რომლებიც იძულებული იყვნენ მასპინძლის პატივსაცემად მადიანად ჩაეხრამუნებინათ „რჩეული კერძი“. საზრიანი მეფე მიხვდა მზარეულის შეცდომას და უბრძანა მიწით დასვრილი ტუბერები მოეხარშა. ახლა კინაღამ თითები ჩაიკვნიტეს ახალი კერძის გასინჯვისას. მას შემდეგ კარტოფილი პოლონელთა სუფრის განუყოფელი ნაწილია და მას სამართლიანად შეარქვეს „პური ჩვენი არსობისა“.

ვისლასა და ოდერს შორის გადაჭიმულ მიწებზე ხარობს იშვიათი სილამაზის და გემოს ვაშლი, ეჟხალი, ატამი და ქლიავი. ხენდრო, უმშვენიერესი ყვავილები, მაგრამ, მადლიერმა პოლონელმა ხალხმა მხოლოდ კარტოფილს დაუდგა ძეგლი. იგი გვაგონებს ულამაზეს ბეჭედს, რომელსაც ალმასის თვლის მაგიერ უზის კარტოფილის თვალი.

პოლონეთი სამართლიანად ითვლება კარტოფილის მწარმოებელ სახელმწიფოდ ომის შემდგომ პერიოდში. მას მსოფლიოში სსრ კავშირის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს. აქ კარტოფილის ნათესის ფართობი 2 მილიონ ჰექტარს აღწევს, ხოლო შარშან მოიწიეს 34,4 მილიონი ტონა, რაც საშუალოდ ჰექტარზე 185 ცენტნერს შეადგენს.

ამ მოსავალს ასე ანაწილებენ: 5 მილიონი ტონა შეადგენს სასურსათო ფონდს, თითქმის ამდენსავე რაოდენობას ინახავენ დასარგავად, 4 მილიონამდე ტონას გადასამუშავებლად აძლევენ მრეწველობას, ხოლო დანარჩენს—ეს კი მოსავლის თითქმის ნახევარზე მეტია,—იყენებენ შინაური პირუტყვის საკვებად. ყოველწლიურად ექსპორტისათვის გამოყოფენ დაახლოებით 400 ათას ტონას, რომლის უდიდესი ნაწილი სსრ კავშირში, აგრეთვე მის პირველ სამშობლოში—ბრაზილიაშიც იგზავნება. მოსავლის მხოლოდ თხუთმეტამდე პროცენტი ფუჭდება და ჰყრიან.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

ფატი გურგუჩიანს
მირიან გვიშიანს

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ ფუძემძლიერი ოჯახის შექმნას.

მამუკა, მადონა, მანანა ონიანები.

ივეტა ხუბუკელაშვილს
თამაზ ნემსწვერიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ გამრავლებას სიხარულს და სიყვარულს. გემრავლებინოთ ქართველი ერი.

მურად სილაგაძე ოჯახით.

ივეტა ხუბუკელაშვილს
თამაზ ნემსწვერიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული, სიხარული ყოფილიყოს თქვენი მეგზური. გფარავდეთ ღმერთი.

კაკო ჩარკვიანი, ანზორ, გულვერ კვირკაშვილები ოჯახებით.

ივეტა ქიშვარდის ასულ ხუბუკელაშვილს
თამაზ რეზოს ძე ნემსწვერიძეს

გილოცავთ ბედნიერებას, სიკეთე, სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. გისურვებთ ბედნიერ და ლამაზ ცხოვრებას.

ირმა, გოჩა ხუბუკელაშვილები.

ლარისა შოთას ასულ გერიძეს
თენგიზ ჟორას ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. დაგბედებოდეთ შვილთა სიმრავლე თავისუფალ საქართველოში მრავალჟამიერ!

ლალი ხვადაგიანი, ნინო ლიპარტელიანი, ნუგზარ კოპალიანი, ვალოდია მუშკუდიანი.

გილოცავთ

თაილი, ვალერი მუშკუდიანებს
თინა, მიხეილ მუშკუდიანებს
ნათელა, ზაურ სალინაძეებს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. ასეთი სიხარული, ბევრჯერ განახოთ. გაგამრავლოთ ღმერთმა.

მანანა, ნორა, ჯუმბერ ბენდელიანები, ზურა ნინო რეზო ჩაკვეტაძეები, ნათია, ჯაბა, დათო, ნანა, ბესიკ ჭუმბურიძეები.

ნინო გივის ასულ ლაკვეხელიანს
ნანული ვლადიმერის ასულ ღოგიძეს

გილოცავთ პირველი შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო მამულიშვილი. კვლავ მრავალ სიხარულს შეევსოს თქვენი ოჯახის ფუძე-ჭერი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ლელა, ლაშა ბურჯალიანები.

დალი დავითის ასულ გუგავას
ნინა ნესტორის ასულ შკუბულიანს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის ბედნიერებას.

ქვედა ცაგერის ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

მარო ლევანის ასულ უჩაძეს
ჯიუ ვასილის ძე ნემსწვერიძეს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს საამაყო ქართველი ქალი.

წუნუ, მამუკა, მიშა უჩაძეები, ნატო, ნინო, გენადი ბალაშვილები.

თეა შოთას ასულ კოპალიანს

გილოცავთ დისშვილის შეძენას გაზრდილიყოს სახელოვანი ერისკაცი.

ლელა, სოფო სალინაძეები, ნინო ლეთოდიანი, ხათუნა ჩარკვიანი, მაია ყურაშვილი.

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებიდან

გვატყობინებენ

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მიმდინარე წლის იანვარში გაიზარდა სისხლის სამართლის დანაშაულის ფაქტები, განსაკუთრებით პირადი ქონების ქურდობის შემთხვევები.

6 იანვარს გაქურდეს ქალაქ ცაგერში მცხოვრები გივი ასათიანის საცხოვრებელი ბინა. მოიპარეს ტანსაცმელი, სამკაულები, საოჯახო ნივთები.

20 იანვარს, ღამით გაქურდეს გივი პარიმონის ძე ახვლედიანის საცხოვრებელი სახლი. ქურდებმა წაიღეს მაგნიტოფონი, სერვიზი, საოჯახო ნივთები და სხვა ფასეულობანი.

იანვარში გაიზარდა აგრეთვე უნებართვოდ ტარებული ცეცხლსასროლელი იარაღის გასროლის შედეგად მოქალაქეთა სხეულის დაზიანების შემთხვევები.

11 იანვარს რაისაავადმყოფოში მიიყვანეს ქალაქ ცაგერში მცხოვრები ხათუნა მირმანის ასული შკუბულიანი, რომელსაც საკუთარ ოჯახში [illegible] ბული ცეცხლსასროლელი იარაღის (რევოლვერის) გასროლის შედეგად მძიმე ჭრილობა აქვს თავის არეში.

13 იანვარს საავადმყოფოში მიიყვანეს ზუბელი კახა დავითის ძე მიქაძე, რომელიც დაიჭრა უნებართვოდ ტარებული თოფის გასროლით.

დამნაშავეთა გამოვლინებისთვის გამოძიებას აწარმოებენ შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკები.

ქუთაისის № 42 საშუალო პროფესიულ - ტექნიკური სასწავლებელი აცხადებს

მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის მკერავის პროფესიის დასაუფლებლად.

სასწავლებელში მიიღებიან 17-30 წლის ასაკის გოგონები, რომელთაც აქვთ სრული საშუალო განათლება. სწავლების ვადა 10 თვეა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები მიიღებენ პროფესიის შესაბამის დიპლომს. სტიპენდია 70 მანეთია.

სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულნი სარგებლობენ საშუალო სკოლის მედალოსნის უპირატესობით უმაღლეს სასწავლებელში მიღებისას პროფილის შესაბამისად.

ყველა კურსდამთავრებულს აქვს უფლება სასწავლებლის დამთავრებისთანავე სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში მისთვის სასურველ პროფესიაზე როგორც დღის, ისე საღამოს ფაკულტეტებზე. სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ საწარმოო სტაჟად.

მეცადინეობა მიმდინარეობს ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა. სწავლა იწყება 1991-წლის 1—თებერვალს.

მისამართია: კოსმონავტების ქუჩა №61. ტელ. 6-31-75, 6-79-25

ავტობუსები: 1, 5, 11, 19, 28

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

მეუღლე ვლადიმერ გოგიძე, შვილი ციცო, სიძე ამზაირ, შვილიშვილები თეა, კობა, ეკა კიზირიები, და ბაცუ, ძმა ბუჭუ, მულები ოსანა, ბაბი, ნადია, მაზლი ვალოდია გოგიძე, რძლები დოდო, თამარი, ძმისშვილები, დისშვილები, მულისშვილები, მაზლისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დუდუშა ვასილის ასული მურცხვალაძე-გოგიძე

დაკრძალვა 31 იანვარს, ხუთშაბათს ქ. ცაგერში. გამოსვენება დავით აღმაშენებლის ქ. №52-დან.

ცაგერის რაიონული გაზეთის „ლეჩხუმის" რედაქციისა და რაიონული სტამბის მუშაკები თანაუგრძნობენ მზევინარ ძნელაძეს და მერი შკუბულიანს ბიძისა და ბაბუის

ვალიკო შკუბულიანის

გარდაცვალების გამო.

პროფტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვალია ონიანს რძლის

ცისანას

გარდაცვალების გამო.

ძმისშვილები ბიჭიკო, შურა შკუბულიანები, დისშვილი სულიკო ყურაშვილი ოჯახებით იუწყებიან

ვალიკო შკუბულიანის

გარდაცვალებას.

ორბელის საშუალო სკოლის 1975 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მალხაზ ოთარის ძე სანიკიძე

მეუღლე სონა, შვილები დოდო, აზა, დალი, სოსო, თემური; და ნინა, რძლები ია ნემსწვერიძე, ნატო სვანიძე, ბელა ბურჯალიანი, სიძეები ავთანდილ მეშველიანი, ომარ ბურჯალიანი, შვილიშვილები დათო, ზურიკო, ალუდა, იმედა, მარიკა, მაკა, მირანდა, მადლენა, ზურიკო, სოფიკო, სუზანა, ირაკლი, ხატია, ხალომე, ვალერი, ცოლისძმა კოწია კოპალიანი, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალიკო ივანეს ძე შკუბულიანი.

დაკრძალვა 31 იანვარს, ხუთშაბათს ქ. ცაგერში.

გრიგოლ ვლადიმერის ძე ომანაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

შილა ვლადიმერის ძე ჩაკვეტაძე

რაიონის სამედიცინო საზოგადოება თანაუგრძნობს ფატი ბურჯალიას ბაბუის

ანდრო ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

რაისაავადმყოფო-პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რაისაავადმყოფოს ღვაწლმოსილი ლაბორანტი

დუდუშა ვასილის ასული მურცხვალაძე.

ჯანსულ, ჟუჟუნა ხეცურიანები ოჯახით თანაუგრძნობენ შალვა, კაკო კვირიკაშვილებს ძმის

გრიშა სამსონის ძე კვირკაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე მედიკო, შვილები ციცო, ვაჟა, მაიზერი, ბადრი, ძმები კაკო, შალვა, რძლები ნანა, რუსიკო, ნინელი, ძმისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გრიშა სამსონის ძე კვირკაშვილი

დაკრძალვა 31 იანვარს, ხუთშაბათს სოფ. ჩხუტელში.

შვილები ნოდარი, შიო, რძლები ნაზიკო, მზია, ციცო, შვილიშვილები ნური, ნონა, ნორვეგი, ზაალი, თენგიზი, თემური, იზა, ზაზა, მაკა, ძმა პიმენ ლეთოდიანი, ძმისშვილები, დისშვილები მაზლიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ივდითი სარდიონის ასული ლეთოდიანი-ხეცურიანი.

დაკვძალვა 30 იანვარს, ოთხშაბათს სოფ. ლარჩვალში.

ლელა ყურაშვილი, ნაილი ფუტკარაძე, ლია გუგავა, მზია ფალავანდიშვილი, ჟუჟუნა კოპალიანი, ნაზიკო მეშველიანი, იზო მეგრელი, ფოთოლა, ნარგიზა, ნანუშა მურცხვალაძეები, ფატი მინდაძე, ფატი ბენდელიანი, ირინე სვანიძე, ნათელა ნემსწვერიძე, ირინე ახვლედიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დუდუშა ვასილის ასული მურცხვალაძე.

გუჯუ მეშველიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გრიშა კვირკაშვილი.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის—22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. სტამბის —22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-?

№10 (6385) 24 იანვარი 1991 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №1 ტირაჟი 4513

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა. დირექტორის